

# ფეხბურთი 76

КЛИСФ: "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

# ფეხბურთი

## ცნობარი-კალენდარი

**1976**

КЛИСФ: "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

ავტორი-შემდგენელი
გ. აკოფოვი

«ФУТБОЛ-76»

Справочник-календарь

Автор-составитель Г. Акопов

(На грузинском языке)

# ევროპის საკლუბო ტურნირები

ევროპის საკლუბო საფეხბურთო ტურნირების (ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, თასების მფლობელთა თასი, უეფას თასი) პოპულარობა ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ცნობილია, აგრეთვე, თუ რა სარგებლობა მოაქვს ამ სპორტულ შეჯიბრებებს ქვეყნებში ფეხბურთის განვითარების, გუნდებისა და მოთამაშეთა კლასის ამაღლების საქმეში.

საბჭოთა ფეხბურთელები მხოლოდ 11 წელია მონაწილეობენ ამ ტურნირებში, მაგრამ შარშანდლამდე მათ მნიშვნელოვანი წარმატებებისთვის არ მიუღწევიათ. მხოლოდ 1975 წლის სეზონში გატყდა ნავსი. ამ ტურნირების ისტორიაში პირველად ჩვენი კლუბი გახდა არა მარტო ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდოს მფლობელი, არამედ მოიგო კიდეც სუპერთასი.

ამ გამარჯვებამ საბჭოთა ფეხბურთს დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი მოუხვეჭა, ხოლო ამ გამარჯვების მთავარი „დამნაშავე“ — კიევის „დინამო“ მოხვდა მსოფლიოს უძლიერეს საკლუბო გუნდების რიცხვში.

ქვემოთ მოგვყავს ევროპის საკლუბო ტურნირების ბოლო გათამაშებათა ტექნიკური შედეგები, მატჩების აღწერა, რომლებშიც საბჭოთა გუნდები მონაწილეობდნენ.

## ჩემპიონთა თასი

### 1975-76 წ.წ. გათამაშება

### მ ე თ ე ქ ვ ს მ ე ტ ე დ ფ ი ნ ა ლ ი

**„ოლიმპიაკოსი“ (პირეი, საბერძნეთი) — „დინამო“ (კიევი) 2:2.**

**სალონიკი. 17 სექტემბერი.**

„ოლიმპიაკოსის“ სტადიონი პირეიში დისკვალიფიცირებული იყო უწინ მომხდარი უწესრიგობისთვის, ამიტომ მატჩი სალონიკში გადაიტანეს. მიუხედავად კოკისპირული წვიმისა,



КЛИСФ: "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

45 ათასი მაყურებელი დაესწრო ამ საინტერესო, დაძაბულ ბრძოლას.

ბერძენმა ფეხბურთელებმა სცადეს პირველივე წუთებიდან მოეპოვებინათ უპირატესობა მაქსიმალური ტემპის მეშვეობით, მაგრამ კიეველებმა ზუსტად ითამაშეს დაცვაში, ხოლო კონტრიერიშებისას რამდენიმე ძალიან სახიფათო მომენტი შექმნეს. ანგარიში 27-ე წუთზე თავური დარტყმით გახსნა კოლოტოვმა, 3 წუთის შემდეგ კი მანვე მეორედ, ასევე თავური დარტყმით, აიძულა კელესიდისი ბადიდან გამოეტანა ბურთი.

პირველი საპასუხო გოლი ტაიმის დამთავრებამდე გაიტანა კრიტიკოპულოსმა, ხოლო 63-ე წუთზე რუდაკოვმა ვერ შეძლო აიზინიუს მიერ დარტყმული იოლი ბურთის მოგერიება და კიეველებმა ხელიდან გაუშვეს გამარჯვება.

**„დინამო“:** რუდაკოვი, ტროშკინი, ფომენკო, რეშკო, ზუევი, კონკოვი, ვერემეევი, კოლოტოვი, ბურიაკი, კოჩუბინსკი, ბლოხინი.

მსაჯი — აიშვაილერი (გფრ).

**„დინამო“ (კიევი) — „ოლიმპიაკოსი“ (პირეი, საბერძ.)—1:0.**

**კიევი. ცენტრალური სტადიონი. 1 ოქტომბერი.**

განმეორებითს მატჩში კიევის „დინამოს“, ასე ვთქვათ, მინიმალური ფრეც (0:0 ან 1:1) კი აძლევდა ხელს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს გუნდის ტაქტიკურ გეგმაში არ შედიოდა. კიეველები ბევრს უტევდნენ, ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს მოპირდაპირე კართან, მაგრამ ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე საუკეთესო შესაძლებლობა (ვერემეევი, ონიშჩენკო, ბლოხინი).

ბერძენი ფეხბურთელები კარგად უხამებდნენ ერთმანეთს დაცვას და კონტრიერიშებს, თუმცა მასპინძელთა კართან ისინი მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში თუ აღწევდნენ.

მატჩის ბედი და მასთან ერთად მერვედფინალში გასვლის საკითხი გადაწყდა 66-ე წუთზე, როცა ბლოხინმა მარჯვენა ფლანგიდან კარის წინ ჩააწოდა ბურთი და კომბინაცია ძნელი მდგომარეობიდან ზუსტად დაამთავრა ონიშჩენკომ.

**„დინამო“:** რუდაკოვი, კონკოვი, მატვიენკო (ზუევი), ფომენკო, რეშკო, ტროშკინი, მუნტიანი, ონიშჩენკო **(დამინი),**



**ბურიაკი,** ვერემეევი, ბლოხინი.

მსაჯი — ა. მატიასი (ავსტრია).

## ს ხ ვ ა მ ა ტ ჩ ე ბ ი

„ციურიჰი“ (შვეიცარია) — **„დოზა-უიპეშტი“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი)** 5:1 (0:4).

„დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — **„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი)** 1:0 (1:4).

**„სენტ-ეტიენი“ (საფრანგეთი)** — „კიოგენჰავსი“ (კიოგე, დანია) 3:1 (2:0).

„ბოჰემიანსი“ (დუბლინი, ირლანდია) — **„გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია)** 1:1 (1:4)

**„დერბი ქაუნთი“ (ინგლისი)** — „სლოვანი“ (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია) 3:0 (0:1).

„პალოსეურა“ (ფინეთი) — **„რუხი“ (ხოჟუვი, პოლონეთი)** 2:2 (0:5).

„ფენერბახჩე“ (სტამბოლი, თურქეთი) — **„ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია)** 1:0 (0:7).

**„ფშვ ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია)** — „ლინფილდი“ (ბელფასტი, ჩრდილოეთ ირლანდია) 8:0 (2:1).

**„ბაიერნი“ (მიუნჰენი, გფრ)** — „ჟენესი“ (ეში, ლუქსემბურგი) 3:1 (5:0).

„ვიკინგი“ (სტავანგერი, ნორვეგია) — **„რასინგ უაიტი“ (მოლენბეკი, ბელგია)** 0:1 (2:3).

„სვაროვსკი-ვაკერი“ (ინსბრუკი, ავსტრია) — **„ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი, გფრ)** 1:6 (1:1).

**„იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია)** — ცსკა — „სეპტემვრიისკო ზნამე“ (სოფია, ბულგარეთი) 2:0 (1:2).

**„ჰაიდუკი“ (სპლიტი, იუგოსლავია)** — „ფლორიანა“ (ლავალეტა, მალტა) 3:0 (5:0).

„მაგდებური“ (გდრ) — **„მალმიო“ (შვეცია)** 2:1 (1:2), პენალტებით 4:5.

**„აკრანესი“ (ისლანდია)** — „ომონია“ (კიპროსი) 4:0 (1:2).

**შენიშვნა:** შავი შრიფტით ნაჩვენებია ის გუნდები, რომლებიც გავიდნენ გათამაშების შემდგომ ეტაპზე. ფრჩხილებში მოყვანილია პირველი წრის შეხვედრათა შედეგები.



КУПЛЕНО "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

## მ ე რ ვ ე დ ფ ი ნ ა ლ ი

**„დინამო“ (კიევი) — „აკრანესი“ (ისლანდია) — 3:0.**

**კიევი. ცენტრალური სტადიონი. 22 ოქტომბერი.**

მატჩის მოსალოდნელი ქარგა სტუმრებისთვის, ეტყობა, საიდუმლოებას არ წარმოადგენდა. ამიტომ მათ თავიდანვე იზრუნეს დაცვის გასამაგრებლად და თითქმის მთელი შემადგენლობით დაიხიეს უკან.

ასეთ შემთხვევებში მოიერიშე მხარეს გამარჯვება თითქოს იოლად აქვს გარანტირებული, მაგრამ ისლანდიელთა დაცვის დაძლევა არც ისე ადვილი გამოდგა. ხანგრძლივი შტურმის შემდეგ დინამოელებმა მხოლოდ 28-ე წუთზე შეძლეს ანგარიშის გახსნა (ბურიაკი). გავიდა რამდენიმე წუთი და ონიშჩენკომ მეორედ აიძულა „აკრანესის“ მეკარე გამოეტანა ბადიდან ბურთი.

შესვენების შემდეგ ისლანდიელებმა რამდენადმე გამოაცოცხლეს თამაში, მაგრამ მატჩის მსვლელობას ეს არსებითად არ დასტყობია. მასპინძლები კვლავ უტევდნენ და ბურიაკმა ონიშჩენკოს გადაცემის შემდეგ სამამდე „დაამრგვალა“ ანგარიში.

**„დინამო“** — რუდაკოვი, კონკოვი, ზუევი, ფომენკო, რეშკო (კოჩუბინსკი, სლობოდიანი), დამინი, მუნტიანი, ონიშჩენკო, ბურიაკი, ვერემეევი, ბლოხინი.

მსაჯი — მ. რაუში (იუგოსლავია).

**„აკრანესი“ (ისლანდია) — „დინამო“ (კიევი) — 0:2.**

**რეიკიავიკი. „მელაველიურის“ სტადიონი. 5 ნოემბერი.**

კიევის დინამოელები განმეორებით მერვედფინალურ მატჩში აქ შეხვდნენ ადგილობრივ „აკრანესს“, რომელიც მანამდე შინ დამარცხებული ჰყავდათ ანგარიშით 3:0. კიეველებმა განმეორებითი მატჩიც მოუგეს ისლანდიელებს (2:0) და მეოთხედფინალში გავიდნენ.

ანგარიში 25-ე წუთზე გახსნა ონიშჩენკომ ბლოხინის გადაცემით, მეორე ტაიმში კი „აკრანესის“ მცველმა გუნლსუგსონმა საკუთარ კარში ჩაჰრა ბურთი.

**„დინამო“** — რუდაკოვი, კონკოვი, ზუევი, ფომენკო, რეშკო, დამინი, მუნტიანი, ონიშჩენკო, ბურიაკი, ვერემეევი, ბლოხინი.



### სხვა მატჩები

„გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — **„სენტ-ეტიენი“ (საფრანგეთი)** 1:2 (0:2).

„იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია) — **„ბორუსია“ (მიონხენგლადბახი, გფრ)** 2:2 (0:2).

**„ფშვ ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია)** — „რუხი“ (ხოჟუვი, პოლონეთი) 4:0 (3:1).

„დოჟა იუპეშტი“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — **„ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია)** 3:1 (2:5).

„რასინგ უაიტი“ (მოლენბეკი, ბელგია) — **„ჰაიდუკი“ (სპლიტი, იუგოსლავია)**, 2:3 (0:4).

**„ბაიერნი“ (მიუნხენი, გფრ)** — „მალმიო“ (შვეცია) 2:0 (0:1).

**„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი)** — „დერბი ქაუნთი“ (ინგლისი) 5:1 (1:4).

### მ ე ო თ ხ ე დ ფ ი ნ ა ლ ი

„სენტ-ეტიენი“ — „დინამო“ — 3:0 (0:2).
„ბაიერნი“ — „ბენფიკა“ — 5:1 (0:0).
„ეინდჰოვენი“ — „ჰაიდუკი“ — 3:0 (0:2).
„რეალი“ — „ბორუსია“ — 1:1 (2:2).

## თასების მფლობელთა თასი

### 1975-76 წ.წ. გათამაშება

### მ ე თ ე ქ ვ ს მ ე ტ ე დ ფ ი ნ ა ლ ი

**„არარატი“ (ერევანი) — „ანორტოსისი“ (ფამაგუსტა, კვიპროსი) 9:0.**

**ერევანი. „რაზდანის“ სტადიონი. 17 სექტემბერი.**

პირველ ტაიმში კიპროსელმა ფეხბურთელებმა შეძლებისდაგვარად გაუწიეს წინააღმდეგობა მასპინძლებს და მხოლოდ 3 ბურთი გაუშვეს, ამასთან, სამივე მარქაროვისგან (პირველი — პენალტით).



КЛУБ ФФ "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

შესვენების შემდეგ „ანორტოსისმა“ მთლიანად დათმო თამაში და წააგო მატჩი. 2-2 ბურთი გაიტანეს მარქაროვმა და ოგანესიანმა, თითო — ნ. პეტროსიანმა და ბონდარენკომ.

**„არარატი“:** აბრამიანი (დემირჩიანი), მარტიროსიანი, სარქისიანი, მირზოიანი (ფარსადანიანი), მესროფიანი, გევორქიანი, ოგანესიანი, ბონდარენკო, ს. პეტროსიანი, მარქაროვი, ნ. პეტროსიანი.

მსაჯი ბ. ნადი (უნგრეთი).

**„ანორტოსისი“ (ფამაგუსტა, კიპროსი) — „არარატი“ (ერევანი) — 1:1.**

**ფამაგუსტა. 1 ოქტომბერი.**

მას შემდეგ, რაც კიპროსელმა ფეხბურთელებმა ერევანში ანგარიშით 0:9 წააგეს მატჩი „არარატთან“, მათ მხოლოდ თეორიული შანსი ჰქონდათ აეღოთ სრულფასოვანი რევანში. მაგრამ არსებობს კიდევ სპორტული ინტერესი, რომლის გულისთვისაც „ანორტოსისმა“ თავის მინდორზე ყველაფერი იღონა მაყურებელთა წინაშე რეაბილიტაციისთვის, და ეს ნაწილობრივ შეძლო კიდეც.

მატჩი მიმდინარეობდა საინტერესოდ, კორექტულად და დამთავრდა ფრედ 1:1. „არარატის“ მხრივ ბურთი გაიტანა ბონდარენკომ, მასპინძელთაგან — ფივოსმა (11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით).

**„არარატი“** — აბრამიანი, მარტიროსიანი, სარქისიანი, მესროფიანი, გევორქიანი, ს. პეტროსიანი, ბონდარენკო, ანდრეასიანი, მარქაროვი, ნ. პეტროსიანი, ოგანესიანი.

### სხვა მატჩები

**„ჰააგა“ (ჰოლანდია)** — „ვეილე“ (დანია) 2:0 (2:0).

**„სტალი“ (ჟეშუვი, პოლონეთი)** — „სკეიდი“ (ოსლო, ნორვეგია) 4:0 (4:1).

**„სელტიკი“ (გლაზგო, შოტლანდია)** — „ვალიური“ (რეიკიავიკი, ისლანდია) 7:0 (2:0).

„კოლრეინი“ (ბელფასტი, ჩრდილოეთ ირლანდია) — **„აინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი, გფრ)** — 2:6 (1:5).

**„ანდერლეჰტი“ (ბრიუსელი, ბელგია)** — „რაპიდი“ (ბუქარესტი, რუმინეთი) 2:0 (0:1).



„რუმელინგენი“ (ლუქსემბურგი) — **„ბორაცი“ (იუგოსლავია)** 1:5 (0:9).

„ვალეტა“ (ლა-ვალეტა, მალტა) — **„ჰალადაში“ (სომბათჰეი, უნგრეთი)** 1:1 (0:7).

**„ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი)** — „ბაზელი“ (შვეიცარია) 0:0 (2:1).

**„ზაქსენრინგი“ (ცვიკაუ, გდრ)** — „პანათინაიკოსი“ (ათენი, საბერძნეთი) 2:0 (0:0).

„სლავია“ (სოფია, ბულგარეთი) — **„შტურმი“ (გრაცი, ავსტრია)** 1:0 (1:3).

„იურგორდენი“ (სტოკჰოლმი, შვეცია) — **„რექსჰემი“ (უელსი)** 1:1 (1:2).

**„ფიორენტინა“ (ფლორენცია, იტალია)** — „ბეშიქთაში“ (სტამბოლი, თურქეთი) 3:0 (3:0).

**„რესინგი“ (ლანი, საფრანგეთი)** — „ჰოუმ ფარმი“ (დუბლინი, ირლანდია) 6:0 (1:1).

**„ვესტ ჰემ იუნაიტედი“ (ინგლისი)** — „რეიპასი“ (ლაჰტი, ფინეთი) 3:0 (2:2).

**„ბოავისტა“ (პორტუ, პორტუგალია)** — „სპარტაკი“ ტრნავა, ჩეხოსლოვაკია) 3:0 (0:0).

### მ ე რ ვ ე დ ფ ი ნ ა ლ ი

**„არარატი“ (ერევანი) — „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ (ინგლისი) — 1:1.**

**ერევანი „რაზდანის“ სტადიონი. 22 ოქტომბერი.**

მატჩი ჩატარდა რთულ, შინაარსიან ბრძოლაში. ერევნელთა ხშირი იერიშების წინააღმდეგ ინგლისელებმა კარგად ორგანიზებული დაცვა აირჩიეს, მაგრამ არა პასიური, მხოლოდ მოგერიებაზე, არამედ ეპიზოდურ და სახიფათო კონტრშეტევებზე აგებული. უნდა ითქვას, რომ „ვესტ ჰემის“ მცველები ოსტატურად ასრულებდნენ თავიანთ ფუნქციებს, თუმცა გოლის გატანის რეალური შესაძლებლობანი მათს კართან საკმაოდ ხშირად იქმნებოდა. ასეთი მომენტები ჰქონდათ გევორქიანს, ოგანესიანს, ანდრეასიანს, ხოლო ნ. პეტროსიანმა ერთხელ ძელსაც მოახვედრა ბურთი. ანგარიშის გახსნის კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა პადონმაც.



КЛУБ: "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

ასეთ ვითარებაშიც კი პირველ წარმატებას მაინც სტუმრებმა მიაღწიეს: სწრაფი კომბინაციის შემდეგ „არარატის" საჯარიმო მოედანზე 56-ე წუთზე წამით ღია დარჩა ინგლისელთა საუკეთესო ბომბარდირი ა. ტეილორი, რომელმაც ზუსტად დაარტყა.

ანგარიში 10 წუთის შემდეგ გათანაბრდა საკმაოდ კურიოზულ ვითარებაში: ინგლისელთა მეკარე დეი და ერევნელი ს. პეტროსიანი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ საკმაო ხანს. შემდეგ დეიმ წამით დაკარგა კონტროლი ბურთზე, ს. პეტროსიანმა თავით მოასწრო მისი კარისკენ გაგზავნა და შემდეგ თავდამსხმელის ორთაბრძოლა მეკარესთან პირველის გამარჯვებით დამთავრდა.

**„არარატი"** — აბრამიანი, მარტიროსიანი, სარქისიანი, მესროფიანი, კაზარიანი, (ბონდარენკო), ს. პეტროსიანი, გევორქიანი, ანდრეასიანი, ნ. პეტროსიანი (პოღოსიანი), მარქაროვი, ოგანესიანი.

მსაჯი — გ. ვეის

**„ვესტ ჰემ იუნაიტედი" (ინგლისი) — „არარატი" (ერევანი) — 3:1.**

**ლონდონი. „აპტონ-პარკ" სტადიონი. 5 ნოემბერი.**

საყოველთაო ინტერესს იწვევდა „ვესტ ჰემ იუნაიტედისა" და ერევნის „არარატის" შეხვედრა. პირველი მატჩი ერევნის სტადიონზე, როგორც ცნობილია, „არარატის" დიდი ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, ფრედ დამთავრდა (1:1) და ინგლისელებს მეორე მატჩისთვის წარმატების გარკვეულ პერსპექტივა შეექმნათ.

„ვესტ ჰემ იუნაიტედმა" არ გაუშვა ხელიდან ეს შანსი, ანგარიშით 3:1 დაამარცხა მეტოქე და გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავიდა.

ინგლისელები თავიდანვე უპირატესობას ფლობდნენ და მე-16 წუთზე ჰოლონმა, ხოლო 28-ე წუთზე რობსონმა ორჯერ აიღეს ერევნელთა კარი. ანგარიში მეტიც იქნებოდა, მაგრამ საუცხოოდ ითამაშა მეკარე აბრამიანმა.

შესვენების შემდეგ „არარატმა" ცოტა ხნით გამოასწორა თამაში, 47-ე წუთზე ნ. პეტროსიანმა ერთი გოლიც გაქვითა,



შემდგომ კი უპირატესობამ კვლავ „ვესტ ჰემის" მხარეს გადაინაცვლა, რასაც ა. ტეილორის მესამე ბურთი მოჰყვა.

**„არარატი"** — აბრამიანი, მარტიროსიანი, სარქისიანი, მესროფიანი, კაზარიანი, ს. პეტროსიანი, გევორქიანი, ანდრეასიანი, ოგანესიანი, მარქაროვი (იშტოიანი), ნ. პეტროსიანი (ბონდარენკო).

მსაჯი — ელიესი (საფრანგეთი).

### სხვა მატჩები

**„აინტრახტი" (მაინის ფრანკფურტი, გფრ)** — „ატლეტიკო" (მადრიდი, ესპანეთი) 1:0 (2:1).

„სტალი" (ქეშუვი, პოლონეთი) — **„რექსჰემ იუნაიტედი" (უელსი)** 1:1 (0:2).

**„ზაქსენრინგი" (ცვიკაუ, გდრ)** — „ფიორენტინა" (ფლორენცია, იტალია) 1:0, პენალტებით — 5:4 (0:1).

**„სელტიკი" (გლაზგო, შოტლანდია)** — „ბოავისტა" (პორტუ, პორტუგალია) 3:1 (0:0).

„ჰალადაში" (სომბათჰეი, უნგრეთი) — **„შტურმი" (გრაცი, ავსტრია** 1:1 (0:2).

„ბორაცი" (ბანია-ლუკა, იუგოსლავია) — **„ანდერლეხტი" (ბრიუსელი, ბელგია)** 1:0 (0:3).

„რესინგი" (ლანი, საფრანგეთი) — **„ჰააგა" (ჰოლანდია)** 1:3 (2:3).

### მ ე ო თ ხ ე დ ფ ი ნ ა ლ ი

„ზაქსენრინგი" — „სელტიკი" — 1 : 0 (1 : 1)
„აინტრახტი" — „შტურმი" — 1:0 (2:0)
„ანდერლეხტი" — „რექსჰემი" — 1:1 (1:0)
„ვესტ ჰემი" — „ჰააგა" — 3:1 (2:4)

## უეფა-ს თასი

### 1975-76 წ. წ. გათამაშება

### ო ც დ ა მ ე თ ო რ მ ე ტ ე დ ფ ი ნ ა ლ ი

**„ტორპედო" (მოსკოვი) — „ნაპოლი" (ნეაპოლი, იტალია) — 4:1.**

**მოსკოვი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 17 სექტემბერი.**

„ნაპოლი" ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია იტალიაში. 1974 წელს მას ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ადგილი ეკავა. ამ გუნდის შემადგენლობაში რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელი თამაშობს და ამიტომ მისი წაგება ასეთი დიდი ანგარიშით გარკვეული მოულოდნელობაა. ტორპედოელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ პირველივე წუთებიდან თავს მოახვიეს მეტოქეს თავიანთი გეგმა და განუწყვეტელი იერიშებით აიძულეს ღრმა დაცვაში გადასულიყო. თამაში ახალი დაწყებული იყო, როცა გრიშინმა თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. 33-ე წუთზე იგივე გრიშინი უხეშად წააქცია ლა პარმამ და პენალტი გამოიყენა სახაროვმა.

ტაიმის დამთავრებამდე სავოლდიმ შეძლო ერთი ბურთის გაქვითვა, მაგრამ მოსკოველებმა შემდგომ კვლავ იძალეს, რის შედეგადაც „ნაპოლის" კარში კიდევ ორი ბურთი გავიდა (გრიშინი, ბელენკოვი).

**„ტორპედო"** — ელიზაროვი, კრუგლოვი, პახომოვი, ბელოუსოვი, ბუტურლაკინი, მაქსიმენკოვი (ბელენკოვი), იურინი, ფილატოვი, ხრაბროსტინი (პეტრენკო), გრიშინი, სახაროვი.

მსაჯი — რ. მეტიუსონი (ინგლისი).

**„ნაპოლი" (იტალია) — „ტორპედო" (მოსკოვი) — 1:1.**

**ნეაპოლი. 1 ოქტომბერი.**

იტალიის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი„ „ნაპოლი" ტორპედოელებს შინ დიდი ანგარიშით ჰყავდათ დამარცხებული (4:1), ხოლო, როცა მე-15 წუთზე ფილატოვმა განმეორებითს შეხვედრაში ანგარიში გახსნა, ცხადი გახდა, რომ მოსკოველები გააგრძელებდნენ ტურნირის შემდგომ ეტაპზე თამაშს.

მართლაც, „ნაპოლიმ" მხოლოდ საპასუხო ბურთის გატანა შეძლო.

**„ტორპედო"** — ელიზაროვი, კრუგლოვი, პახომოვი, ბელოუსოვი, ბუტურლაკინი, იურინი, მაქსიმენკოვი, ფილატოვი, სახაროვი, გრიშინი, ხრაბროსტინი.

**„ჩერნომორეცი" (ოდესა) — „ლაციო" (რომი, იტალია) — 1:0.**



**ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 17 სექტემბერი.**

„ლაციო" 1973 წელს იტალიის ჩემპიონი იყო, შემდეგ IV ადგილი დაიკავა, რამდენიმე მისი მოთამაშე იტალიის ეროვნულ ჩემპიონატში გამოდის, რომელთაგან, რა თქმა უნდა, საყოველთაოდ ცნობილია კინალია.

მიუხედავად ამისა, თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ტერიტორიული უპირატესობა ოდესელებს ჰქონდათ, რომლებიც თამაშობდნენ ენერგიულად, კომბინაციურად, ხშირი იერიშებით.

33-ე წუთზე იტალიელთა მეკარემ მოიგერია ნეჩაევის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი, მაგრამ მას მიუსწრო დოროშენკომ და ანგარიში გახსნა.

შემდგომ „ჩერნომორეცს" კიდევ ჰქონდა ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, გუნდი კი მინიმალური ანგარიშით გამარჯვებას დასჯერდა.

**„ჩერნომორეცი"** — დეგტიაროვი, ნეჩაევი, ლეშჩუკი, ლოგვინენკო (უსტიმჩიკი), სოპელნიაკი, რიბაკი, საპოჟნიკოვი, პლოსკინა, ალი-ზადე (ზუბკოვი), დოროშენკო, შევჩენკო.

მსაჯი ე. დილევი (თურქეთი).

**„ლაციო" (რომი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) — 3:0.**

**რომი. ოლიმპიური სტადიონი. 1 ოქტომბერი.**

მიუხედავად პირველ წრეში მოპოვებული გამარჯვებისა (1:0), ოდესელი ფეხბურთელები ძნელი ამოცანის წინაშე იდგნენ. რომის სტადიონზე საჭირო იყო ამ მინიმალური უპირატესობის შენარჩუნება.

„ჩერნომორეცი" ახლოს იდგა მიზანთან, მაგრამ მატჩის 90-ე წუთზე მსაჯმა დანიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა კინალიამ. დამატებით დროში. იმავე კინალიამ კიდევ 2 ბურთი გაიტანა და მერვედფინალში თამაშის უფლება იტალიელებს ხვდათ წილად.

**„ჩერნომორეცი"** — დეგტიარიოვი, ნეჩაევი, ლეშჩუკი, ლოგვინენკო (საპელნიაკი), რიბაკი, პოლეშჩუკი, საპოჟნიკოვი (მიხაილოვი), უსტიმჩიკი, მაკაროვი დოროშენკო, პლოსკინა.

**მსაჯი — ბალოტაი (უნგრეთი).**

**აიკ-ი (სტოკჰოლმი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) — 1:1. სტოკჰოლმი. „რასუნდას“ სტადიონი. 17 სექტემბერი.**

მოსკოვის სპარტაკელებს ამ მატჩში მეტოქედ ჰყავდათ შვეციის ერთ-ერთი უძლიერესი საკლუბო გუნდი.

სპარტაკელებმა კარგად ითამაშეს და ქულა აიღეს. მოსკოველთაგან გოლი ლოვჩევმა გაიტანა, ხოლო მასპინძლებმა, ანგარიში 11-მეტრიანის შემდეგ გაათანაბრეს.

**„სპარტაკი“** — პროხოროვი, ვლ. ბუკიევსკი, სამოხინი, ოსიანინი, ლოვჩევი, მინაევი, გლადილინი, პაპაევი, ბულგაკოვი, სიდოროვი (კისელიოვი), ანდრეევი.

**„სპარტაკი“ (მოსკოვი) — აიკ-ი (სტოკჰოლმი) — 1:0. მოსკოვი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 1 ოქტომბერი.**

სტუმრებმა, რომლებსაც შინ ფრედ ჰქონდათ ნათამაშევი „სპარტაკთან“ (1:1), შემტევი ტაქტიკა აირჩიეს და მწვავე დებიუტი შესთავაზეს მექოტეს. ასეთ სიტუაციაში მოსკოველებსაც მიეცათ საპასუხო იერიშის განვითარების საშუალება, მაგრამ ტაიმი ისე დამთავრდა, ანგარიში არ გახსნილა.

შესვენების შემდეგ სპარტაკელებმა ხელთ იგდეს უპირატესობა და ბევრი გამოუყენებელი მომენტის შემდეგ მიზანსაც მიაღწიეს: 76-ე წუთზე ბურთი აიკ-ის კარში ანდრეევმა გაიტანა.

**„სპარტაკი“** — პროხოროვი, აბრამოვი, სამოხინი, ლოვჩევი, ოსიანინი, პაპაევი, ბულგაკოვი, მინაევი, კოკორევი, გლადილინი, ანდრეევი.

მსაჯი რ. ნიუჰუსი (ნორვეგია).

**სხვა მატჩები**

ჰიკ (ჰელსინკი, ფინეთი) — **„ჰერტა“ (დასავლეთ ბერლინი)** 1:2 (1:4).

**„სტალი“** (მელეცი, პოლონეთი) — „ჰოლბეკი“ **(დანია)** 2:1 (1:0).

„ოლიმპიკი“ (მარსელი, საფრანგეთი) — **„კარლ ცაისი“ (იენა, გდრ)** 0:1 (0:3).



**„აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია)** — „გლენტორანი“ (ბელფასტი, ჩრდილოეთ ირლანდია) 6:0 (6:1).

**„ექსტერისი“ (ვეკშე, შვეცია)** — „მოლდე“ **(ნორვეგია)** 6:0 (0:1).

**„ლივერპული“ (ინგლისი)** — „ჰიბერნიენსი“ (ედინბურგი, შოტლანდია) 3:1 (0:1).

**„შლიონსკი“ (ვროცლავი, პოლონეთი)** — გაის (გიოტებორგი, შვეიცარია) 4:2 (1:2).

„ბოლდკლუბენი“ (კოპენჰაგენი, დანია) — **„კიოლნი“ (გფრ)** 2:3 (0:2).

**„იფსვიჩ თაუნი“ (ინგლისი)** — **„ფეიენოორდი“** (როტერდამი, ჰოლანდია) 2:0 (2:1).

**„ფკ ბრიუგე“ (ბელგია)** — „ოლიმპიკი“ (ლიონი, საფრანგეთი) 3:0 (3:4).

**„რეალი“ (სან-სებასტიანი, ესპანეთი)** — „გრასჰოპერსი“ (ციურიხი, შვეიცარია) 1:1 (3:3).

„ავენირი“ (ბეგენი, ლუქსემბურგი) — **„პორტუ“ (პორტუგალია)** 0:3 (0:7).

**„ჰამბურგერ შპორტფერაინი“ (გფრ)** — „იანგ ბოისი“ (ბერნი, შვეიცარია) 4:2 (0:0).

**„მილანი“ (იტალია)** — „ევერტონი“ (ლივერპული, ინგლისი) 1:0 (0:0).

**„დუისბურგი“ (გფრ)** — „პარალიმნი“ (ფამაგუსტა, კიპროსი) — 7:1 (3:2).

**„ბარსელონა“ (ესპანეთი)** — პაოკ (სალონიკი, საბერძნეთი) 6:1 (0:1).

„დუნავი“ (რუსე, ბულგარეთი) — **„რომა“ (იტალია)** 1:0 (0:2).

**„გალათასარაი“ (სტამბოლი, თურქეთი)** — „რაპიდი“ (ვენა, ავსტრია) 3:1 (0:1).

**აეკ (ათენი, საბერძნეთი)** — „ვოივოდინა“ (ნოვი-სადი, იუგოსლავია) 3:1 (0:0).

**„დინამო“ (დრეზდენი, გდრ)** — ასა (ტირგუ-მურეში, რუმინეთი) 4:1 (2:2).

**„ვაშაში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი)** — ვოესტ (ლინცი, ავსტრია) 4:0 (0:2).



КЛИСФ: "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

**„ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი, იუგოსლავია)** — „უნივერსიტატეა“ (კრაიოვა, რუმინეთი) 1:1 (3:1).

**„ჰონვედი“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი)** — „ბოჰემიანსი“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) 1:1 (2:1).

„ასტონ ვილა“ (ინგლისი) — **„ანტვერპენი“ (ბელგია) 0:1** (1:4).

„ვალერინგენი“ (ოსლო, ნორვეგია) — **„ეფლონ თაუნი“ (ირლანდია)** 1:1 (1:3).

„რეალი“ (სარაგოსა, ესპანეთი) — **„ინტერი“ (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია)** 2:3 (0:5).

„ესქიშეჰირსპორი“ (თურქეთი) — **„ლევსკი-სპარტაკი“ (სოფია, ბულგარეთი)** 1:4 (0:3).

**„დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია)** — „კეფლავიკი“ (ისლანდია) 4:0 (2:0).

**„სპორტინგი“ (ლისაბონი, პორტუგალია)** — „შლიემა უონდერერსი“ (მალტა) 3:1 (2:1).

## მ ე თ ე ქ ვ ს მ ე ტ ე დ ფ ი ნ ა ლ ი

**„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „კიოლნი“ (გფრ) — 2:0.**
**მოსკოვი. ცენტრალური სტადიონი. 22 ოქტომბერი.**

იმ მიზანთან, რომელსაც კონტინენტის გათამაშებათა ორრაუნდიან მატჩებში ისახავენ მეტოქეები, „კიოლნი“ თითქმის მატჩის ბოლომდე იყო ახლოს. მართალია, ანგარიში მე-15 წუთზე გახსნა ლოვჩევმა ბულგაკოვის გადაცემის შემდეგ, მაგრამ ფრე ან მინიმალური სხვაობით წაგება არ წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს წყვილთა შემდგომი ბრძოლისთვის. ჩვეულებრივ ყველაფერი წყდება მეორე მატჩებში. მაგრამ როცა 89-ე წუთზე იმავე ლოვჩევმა მეორე ბურთი მოათავსა ტიპოლოვიჩის კარში, სპარტაკელთა ამოცანა თასის გათამაშებაში შემდგომი მონაწილეობისთვის, გაცილებით ვაადვილდა: გერმანელები ახლა ორგოლიანი სხვაობის ლიკვიდაციის ამოცანის წინაშე აღმოჩდნენ.

**„სპარტაკი“** — პროხოროვი, ვლ. ბუკიევსკი, სამოხინი, აბრამოვი, ოსიანინი, ლოვჩევი, ბულგაკოვი, მინაევი, პაპაევი, გლადილინი, ანდრეევი.

მსაჯი — რ. ერიკსონი (შვეცია).



**„კიოლნი“ (გფრ) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) — 0:1.**
**კიოლნი. 5 ნოემბერი.**

ამ მატჩს წინ დიდი აჟიოტაჟი უძღოდა. დასავლეთგერმანელ მიმომხილველთაგან ბევრი დარწმუნებული იყო, რომ „კიოლნი“, რომელიც ახლა კარგ ფორმაშია, შეძლებდა რევანში აეღო მოსკოვში ანგარიშით 0:2 წაგებისათვის. მასპინძლებმა მართლაც სარევანშო განწყობილებით დაიწყეს თამაში და ხანგრძლივი იერიში განავითარეს. მაგრამ მათ ცუდი სამსახური გაუწია სისტემატურმა უხეშობამ, ვინაიდან შეტევები ხშირად წყდებოდა მსაჯის სასტვენის გამო. სპარტაკელები ვალში არ დარჩნენ და საინტერესო, ძალიან დაძაბული შეხვედრა ფაქტიურად გაფუჭდა თამაშის წესების გაუწყვეტელი დარღვევით. კამაჩო იძულებული იყო გაეფრთხილებინა კონოპკა, ზიმეტი, ანდრეევი, პაპაევი, თუმცა ყვითელი ბარათის ღირსი ზოგიერთი სხვა ფეხბურთელიც იყო.

მოსკოველთა კარი პირველ ტაიმში არაერთხელ გადაურჩა აშკარა ხიფათს. „კიოლნის“ თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე კარგი მომენტი, ხოლო თავის მხრივ მეკარე პროხოროვმაც გამოიჩინა თავი და ლიორის მიერ დარტყმული 11-მეტრიანი აიღო.

გოლი მაინც გავიდა, მაგრამ... გერმანელთა კარში. ანდრეევმა ზუსტად დაარტყა საჯარიმო დაბლა კუთხეში, ბურთი მოხვდა ძელს და ბადეში გავიდა. ორ მატჩში საერთო ანგარიში გახდა 3:0 სპარტაკელთა სასარგებლოდ.

**„სპარტაკი“** — პროხოროვი, ვლ. ბუკიევსკი, სამოხინი, ოსიანინი, ლოვჩევი, კოკორევი, აბრამოვი, პაპაევი, ბულგაკოვი, მინაევი, ანდრეევი.

მსაჯი — კამაჩო (ესპანეთი).

**„გალათასარაი“ (თურქეთი) — „ტორპედო“ (მოსკოვი)—2:4.**
**სტამბოლი. „ალი სამი ენის“ სტადიონი. 22 ოქტომბერი.**

მატჩის დასაწყისში გამართულ უაღრესად დაძაბულ ბრძოლას მოჰყვა ის, რომ „გალათასარაის“ მცველმა ენვერმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. ეს მოხდა მე-11 წუთზე, 19 წუთის შემდეგ კი თურქების კარი მეორედ იქნა აღებული, ამჯერად უკვე ხრაბროსტინის მიერ.

განახლდა თამაში შესვენების მერე და 2 წუთის მანძილზე (55-ე და 57-ე წუთები) მასპინძლების თავგანწირული შტურმი მეჰმეთისა და შევქის ორი საპასუხო გოლით დამთავრდა — 2:2.

შემდგომში თურქების ერთ-ერთმა მცველმა თავის საჯარიმო მოედანზე უხეშად წააქცია მაქსიმენკოვი და პენალტი გამოიყენა სახაროვმა, ხოლო 83-ე წუთზე ხრაბროსტინის დარტყმამ კიდევ ერთხელ მიაღწია მიზანს.

**„ტორპედო“** — ელიზაროვი, კრუგლოვი, პახომოვი, ბუტურლაკინი, ბელოუსოვი, პეტრენკო, ფილატოვი, იურინი, სახაროვი, ხრაბროსტინი (ბელენკოვი), გრიშინი (მაქსიმენკოვი).

მსაჯი — გ. მიკელოტი (იტალია).

**„ტორპედო“ (მოსკოვი) — „გალათასარაი“ (თურქეთი) — 3:0. მოსკოვი. ცენტრალური სტადიონი. 5 ნოემბერი.**

საკუთარ მინდორზე დამარცხების შემდეგ თურქ ფეხბურთელებს არსებითად დაკარგული ჰქონდათ გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასვლის რეალური შანსი. ამას გარდა, შეუჩვეველი, მოყინული მინდორი მათს წინაშე დამატებითს სიძნელეებს ქმნიდა. ალბათ ამიტომ იყო, რომ არც სტუმრებს ჰქონიათ თავიდანვე აგრესიული ზრახვები და არც საბოლოო წარმატებაში დარწმუნებული ტორპედოელები იკლავდნენ მაინცდამაინც თავს. თამაში უმთავრესად მშვიდად, პოზიციურ ურთიერთშეტევებში მიმდინარეობდა, სადაც ტორპედოელებს საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ.

ანგარიში 27-ე წუთზე გახსნა დეგტიაროვმა. შემდეგ, 68-ე წუთზე, სახაროვმა მეორე ბურთი გაიტანა პენალტით, 74-ე წუთზე კი ბუტურლაკინმა მესამე ბურთი მოათავსა სტუმართა კარში.

ამ მატჩში საინტერესო ამბავი მოხდა: თურქების მცველმა ენვერმა თავის საჯარიმო მინდორზე უხეშად წააქცია ხრაბროსტინი. ტორპედოელებს სამჯერ მოუხდათ პენალტის დარტყმა, ვინაიდან მეკარე ნიჰატმა ორჯერ მოიგერია სახაროვისა და ფილატოვის დარტყმული ბურთი, მაგრამ ორივეჯერ დაარღვია წესი (ნაადრევად გააკეთა მოძრაობა). მესამე ცდაზე სახაროვმა შეძლო ბურთის გატანა.

**„ტორპედო“** — ელიხაროვი, კრუგლოვი, პახომოვი, ბუტურლაკინი, ბელოუსოვი, მაქსიმენკოვი, ფილატოვი, ხრაბროსტინი (ბელენკოვი), იურინი, პეტრენკო, დეგტიაროვი (სახაროვი).



მსაჯი — ო. პელტოლა (ფინეთი).

**სხვა მატჩები**

**„ფკ ბრიუგე“ (ბელგია)** — „იფსვიჩ თაუნი“ (ინგლისი) 4:0 (0:3).

**„აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია)** — „ჰერტა“ (დასავლეთ ბერლინი) 4:1 (0:1).

**„პორტუ“ (პორტუგალია)** — „დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია) — 1:1 (2:1).

**„სტალი“ (მელეცი, პოლონეთი)** — „კარლ ცაისი“ (იენა, გდრ) 1:0, პენალტებით — 3:2 (0:1).

„ანტვერპენი“ (ბელგია) — **„შლიონსკი“ (ვროცლავი, პოლონეთი)** 1:2 (1:1).

**„მილანი“ (იტალია)** — „ეფლონ თაუნი“ (ირლანდია) — 3:0 (0:0).

**„ლივერპული“ (ინგლისი)** — „რეალი“ (სან-სებასტიანი, ესპანეთი) 6:0 (3:1).

**„ჰამბურგერ შპორტფერაინი“ (გფრ)** — „ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი, იუგოსლავია) 4:0 (1:1).

აეკი (ათენი, საბერძნეთი) — **„ინტერი“ (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია)** 3:1 (0:2).

**„რომა (იტალია)** — „ესტერი“ (ვექშე, შვეცია) 2:0 (0:1).

**„ბარსელონა“ (ესპანეთი)** — „ლაციო“ (რომი, იტალია) 4:0 (3:0 „ლაციოს“ უარის გამო).

**„ლევსკი-სპარტაკი“ (სოფია, ბულგარეთი)** — „დუისბურგი“ (გფრ) 2:1 (2:3).

**„დინამო“ (დრეზდენი, გდრ)** — „ჰონვედი“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 1:0 (2:2).

„სპორტინგი“ (ლისაბონი, პორტუგალია) — **„ვაშაში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი)** 2:1 (1:3).

**მ ე რ ვ ე დ ფ ი ნ ა ლ ი**

**„დინამო“ (დრეზდენი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) — 3:0. დრეზდენი, „დინამოს“ სტადიონი. 26 ნოემბერი.**

მატჩის პირველივე წუთებიდან ცხადი შეიქნა განსხვავება მეტოქეთა თამაშში. მასპინძლები მოქმედებდნენ მობილიზებულად, ენერგიულად, და დიდი ყურადღებით. მათ მხედველობიდან არ გამორჩენიათ მოწინააღმდეგის არც ერთი თუნდაც უმნიშვნელო მანევრი და უპირატესობა ხელიდან არ გაუშვიათ მთელი მატჩის მსვლელობაში. ტორპედოელებმა, რომლებიც ყველა რგოლში ჩამორჩებოდნენ „დინამოს", სულ ერთი-ორჯერ თუ შეძლეს ხეირიანი იერიშის წამოწყება, მაგრამ არც ერთი არ დამთავრებულა გოლით.

ანგარიში 31-ე წუთზე გაიხსნა კუთხური მოწოდების შემდეგ. „ტორპედოს" მცველებმა ზედიზედ დაუშვეს შეცდომა კარის წინ, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა რიდელმა — 1:0. 74-ე წუთზე იმავე რიდელმა ზუსტი დარტყმით დაამთავრა მრავალსვლიანი, ლამაზი კომბინაცია, ხოლო უკვე მაშინ, როცა მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, მეკარე ელიზაროვმა და მცველებმა უმეთვალყურეოდ დატოვეს კრაიშე, რაც მესამე გოლის ფასად დაუჯდათ.

**„ტორპედო"** — ელიზაროვი, კრუგლოვი, პახომოვი, ბელოუსოვი, ბუტურლაკინი, იურინი, პეტრენკო, მაქსიმენკოვი, ფილატოვი, სახაროვი (გრიშინი), ხრაბროსტინი.

მსაჯი — გორდონი (შოტლანდია).

**„ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (დრეზდენი) — 8:1.**
**სიმფეროპოლი. 10 დეკემბერი.**

პირველი მატჩის ანგარიში ძალიან ძნელს ხდიდა სრულფასოვანი რევანშის აღების პერსპექტივას. ძნელს, მაგრამ არა შეუძლებელს, ვინაიდან საფეხბურთო პრაქტიკამ ბევრი შემთხვევა იცის, როცა ამგვარი „ჰანდიკაპი" წარმატებით დაძლეულა.

რთული ამოცანის დაძლევა შეეძლოთ ტორპედოელებსაც: უკვე მე-5 წუთზე დრეზდენელებმა თამაშის წესი დაარღვიეს საკუთარ საჯარიმო მოედანზე, როცა შმუკმა აკრძალული ილეთით წააქცია ბელენკოვი და ჰოლანდიელმა მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. მაგრამ ბოდენმა შეძლო პეტრენკოს მიერ დარტყმული ბურთის მოგერიება.

ტორპედოელებმა მაინც შეძლეს პირველი ტაიმში ორი ბურთის გატანა: ანგარიში მე-17 წუთზე გახსნა დეგტიაროვმა, ხოლო 5 წუთის შემდეგ პეტრენკომ მეორედ აიღო სტუმრების კარი.

ყველაფერი უნდა გადაწყვეტილიყო თამაშის მეორე ნახევარში. უნდა ითქვას, მოსკოველებს არ დაუკლიათ ცდა, გერმანელთა კართან რამდენიმე უკიდურესად მწვავე მომენტიც შექმნეს, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. შემდეგ ჰაიდლერმა თავისი გუნდის ერთ-ერთი კონტრიერიში გოლით დაამთავრა.

მოსკოველებმა მხოლოდ ის შეძლეს რომ 81-ე წუთზე კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს (დეგტიაროვი) და ორი მატჩის ჯამის შედეგად გათამაშებას გამოეთიშნენ.

**„ტორპედო"** — ელიზაროვი, კრუგლოვი, პახომოვი, ბუტურლაკინი, ბელოუსოვი (მირონოვი), მაქსიმენკოვი, პეტრენკო, ხრაბროსტინი (ვასილიევი), იურინი, ბელენკოვი, დეგტიაროვი.

მსაჯი — ლ. ვან დერ კროფტი (ჰოლანდია).

**„მილანი" (იტალია) — „სპარტაკი" (მოსკოვი) — 4:0.**
**მილანი. სტადიონი „სან-სირო" 26 ნოემბერი.**

ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ მოსკოვის „სპარტაკი" საპასუხისმგებლო მერვედფინალურ მატჩს თამაშობდა უეფ-ას თასზე ისეთ პოპულარულ გუნდთან, როგორიცაა „მილანი" გაოცებას იწვევდა სპარტაკელთა პასიურობა, უუნარობა და დაბალი საბრძოლო სულისკვეთება.

პირველ ტაიმში მოსკოველებმა ასე თუ ისე შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა და „მილანი" დასჯერდა კალონის მიერ 22-ე წუთზე გატანილ ერთ გოლს. მაგრამ შესვენების შემდეგ მასპინძლებმა მთლიანად ხელთ იგდეს უპირატესობა და მიაღწიეს გამარჯვებას იმ ანგარიშით, რომელიც მათ ფაქტიურად გზას უხსნიდა მეოთხედფინალისკენ. განახლდა თუ არა თამაში, ბიგონმა მეორედ აიღო „სპარტაკის" კარი, შემდეგ კი მალდერამ და კალონიმ დააგვირგვინეს თავიანთი გუნდის გამარჯვება დიდი ანგარიშით.

**„სპარტაკი"** — პროხოროვი, ვლ. ბუკიევსკი, სამოხინი, აბრამოვი (გლადილინი), ოსიანინი, ლოვჩევი, ბულგაკოვი, მინაევი, პაპაევი, ყოკორევი, ანდრეევი (სიდოროვი).

**მსაჯი — რ. რასინი (შვეიცარია).**

**„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „მილანი“ (იტალია) — 2:0.**

**სოჭი. ცენტრალური სტადიონი. 10 დეკემბერი.**

„სპარტაკმა“ თავისი ძალა მხოლოდ მეორე ტაიმში გამოავლინა. პაპაევმა მე-60 წუთზე ძალიან ზუსტად ითამაშა და შორეული ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი ალბერტოზის კარში, ხოლო უკვე მატჩის დასასრულს, 84-ე წუთზე, ლოვჩევმა საუცხოოდ გამოიყენა მარჯვენა ფლანგიდან ოსიანინის მიერ ჩაწოდებული ბურთი.

ეს იყო და ეს. გამოცდილმა იტალიელმა ფეხბურთელებმა ორი მატჩის ჯამში უპირატესობას მიაღწიეს და მეოთხედფინალშიც გავიდნენ.

**„სპარტაკი“** — პროხოროვი, ბუკიევსკი, ოსიანინი, **სამოხინი**, აბრამოვი, გლადილინი, კოკორევი, პაპაევი, ლოვჩევი, **მინაევი**, ბულგაკოვი.

მსაჯი — რ. მეტიუსონი (ინგლისი).

## სხვა მატჩები

**„ლივერპული“ (ინგლისი)** — „შლიონსკი“ (ვროცლავი, პოლონეთი) 3:0 (2:1).

**„სტალი“ (მელეცი, პოლონეთი)** — „ინტერი“ (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია) 2:0 (0:1).

„რომა“ (იტალია) — **„ფკ ბრიუგე“ (ბელგია)** 0:1 (0:1).

**„ლევსკი-სპარტაკი“ (სოფია, ბულგარეთი)** — „აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია) 2:1 (1:2). პენალტებით გაიმარჯვეს ბულგარელებმა — 5:3.

„ვაშაში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — **„ბარსელონა“ (ესპანეთი)** 0:1 (1:3).

„პორტუ“ (პორტუგალია) — **„ჰამბურგერ შპორტფერაინი“ (გფრ)** 2:1 (0:2).

## მეოთხედფინალი

„ლივერპული“ — „დინამო“ — 2 : 1 (0 : 0)
„ბრიუგე“ — „მილანი“ — 1 : 2 (2 : 0)
„ბარსელონა“ — „ლევსკი—სპარტაკი“ — **4:5 (4:0)**
„ჰამბურგი“ — „სტალი“ — 1:0 (1:1)



# სუპერთასი

## კიეველთა შესანიშნავი წარმატება

შარშან ჩატარდა „სუპერთასის“ მეორე ოფიციალური გათამაშება, რომელშიც ერთმანეთს ხვდებიან თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებული და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი. გაგახსენებთ, რომ 1975 წლის სეზონში კიეველებმა მოიპოვეს თასების მფლობელთა თასი.

„სუპერთასის“ ისტორია 1973 წლიდან იწყება, როცა ჰოლანდიის გაზეთ „დე ტელეგრაფის თაოსნობით ჩატარდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელ „აიაქსისა“ (ამსტერდამი) და თასების მფლობელთა თასის გათამაშების ჩემპიონ „გლაზგო რეინჯერსის“ (გლაზგო) ორი შეხვედრა. მაშინ გაიმარჯვა „აიაქსამა“ — 3:1 და 3:2. საინტერესოა, რომ თვით „ორთა შეჯიბრების თასი ევროპის ფედერაციას ჯერ არ დაუწესებია. ამიტომ ორი მატჩის მონაწილენი, აგრეთვე, არბიტრები უეფას მედლებსა და ვიმპელებს მიიღებენ.

**„ბაიერნი“ (მიუნჰენი) — „დინამო“ (კიევი) — 0:1.**

**მიუნჰენის ოლიმპიური სტადიონი, 9 სექტემბერი. 32.000 მაყურებელი.**

„სუპერთასის“ გათამაშების პირველ მატჩში კიევის „დინამოს“ ფეხბურთელებმა მოუგეს „ბაიერნს“ ანგარიშით 1:0 (0:0). 66-ე წუთზე გოლი გაიტანა ბლოხინმა, თანაც, ბრწყინვალე გოლი. ბლოხინმა ბურთი მიიღო „ბაიერნის“ საჯარიმო მოედნ ს ახლოს, მშვიდად შეაფასა სიტუაცია, მერე თამამად გაიჭრა წინ, ზედიზედ მოატყუა სამი მცველი და მეკარე მაიერისგან შორ კუთხეში დაარტყა.

„ბაიერნის“ ფეხბურთელები ამ გოლის შემდეგ ერთ ათ წუთს გონს ვერ მოვიდნენ. კიეველები, რომლებიც ტემპის დაგდებას ცდილობდნენ, მარჯვედ აკონტროლებდნენ ბურთს მინდვრის ცენტრში. მასპინძლებმა რამდენჯერ უხეშად მოცელეს ბლოხინი და საბჭოთა გუნდის კაპიტანი კოლოტოვი.

ბოლო ხუთ წუთს „ბაიერნი“ უტევდა სტუმრების კარს, მაგრამ შეტევები ცოტა ერთფეროვანი იყო. მასპინძლები ამ იერიშებს იწყებდნენ მიულერის საბოლოო დარტყმის იმედით,



КЛИСФ: "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

მაგრამ ფომენკომ და რეშკომ საიმედოდ ჩაკეტეს ეს მრისხანე თავდამსხმელი.

მატჩის პირველი სახიფათო მომენტი მე-14 წუთზე შეიქმნა, როცა მინდვრის მასპინძლებმა საჯარიმო დარტყმის უფლება მიიღეს. მაგრამ რეშკომ თავით მოიგერია ბურთი. იქვე ბლოხინი აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ მაიერი ადგილზე იყო. რამდენიმე წუთის შემდეგ ბურიაკი ბურთით დარჩა ცარიელი კარის წინ და დაარტყა. მცველმა რაღაც სასწაულით მოიგერია საფრთხე. სლობოდიანსაც მიეცა გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა, მაგრამ მაიერმა ბურთი აიღო. მალე „ბაიერნის“ კაპიტანმა, ბეკენბაუერმა გარღვევაზე გაიყვანა მიულერი, მაგრამ კონკოვმა დაასწრო თავდამსხმელს.

სახიფათო მომენტის ასეთი სიმრავლე მწვავე და საინტერესო თამაშზე მეტყველებს. მასპინძლები მეტს უტევდნენ, მაგრამ გოლის გატანის ბევრად ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ. დინამოელები სახიფათო კონტრიერიშებს ახორციელებდნენ. განსაკუთრებით ნაყოფიერად თამაშობდა კონკოვი.

კიევის „დინამო“ გამოდიოდა ასეთი შემადგენლობით: რუდაკოვი, კონკოვი, ზუევი, ფომენკო, რეშკო, ტრომკინი, დამინი, სლობოდიანი, კოლოტოვი, ბურიაკი, ბლოხინი.

მსაჯობდა გონელა (იტალია).

**„დინამო“ (კიევი) — „ბაიერნი“ (მიუნჰენი) — 2:0.**

**კიევი. ცენტრალური სტადიონი. 5 ნოემბერი.**

ფეხბურთის მოყვარულებმა ტელევიზიით იხილეს უაღრესად საინტერესო მნიშვნელოვანი მატჩი, რომელმაც ახალი სასახელო ფურცელი ჩაწერა საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში: უკრაინის დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე შედგა უეფას სუპერთასის გათამაშების განმეორებითი მატჩი: „დინამო“ (კიევი) — „ბაიერნი“ (მიუნჰენი).

ამ შეხვედრისთვის დასავლეთგერმანელთა გუნდს აკლდა წამყვანი მოთამაშეები მიულერი და ჰიონესი, ხოლო დინამოელთა რიგებში არ იყვნენ კოლოტოვი და მატვიენკო. ასე რომ, ძალთა შეფარდება ადეკვატური დარჩა.

კიეველებმა შესანიშნავად ითამაშეს და სავსებით დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს — 2:0. მატჩის ნამდვილი გმირი იყო მასპინძელთა თავდამსხმელი ბლოხინი, რომელმაც



„ბაიერნის“ კარში სამივე ბურთი (ერთი — მიუნჰენში) გაიტანა.

მსაჯობდა დ. ბაბაჯენი (თურქეთი).

* * *

„ბაიერნის“ მთავარი ბომბარდირისა და რამდენიმე წამყვანი მოთამაშის არყოფნა არავითარ შემთხვევაში არ ამართლებს ჩვენს წაგებას, — განაცხადა მიუნჰენის „ბაიერნის“ მწვრთნელმა დიტმარ კრამერმა უეფა-ს სუპერთასის მეორე ფინალური მატჩის შემდეგ. — ჩვენ წავაგეთ უფრო ძლიერ გუნდთან, ამიტომ სულით და გულით ვუსურვებ წარმატებას „დინამოს“ საერთაშორისო შეჯიბრებებში. აღტაცებული ვარ ბლოხინის თამაშით. ეს, უდავოდ, მსოფლიოს კლასის ფეხბურთელია და ჩემი შეხედულება არ შეიცვლებოდა მაშინაც, მას არც ერთი ბურთი რომ არ გაეტანა ამ ორ მატჩში. ბედნიერად ჩავთვლიდი თავს ასეთი მოთამაშე რომ გვყოლოდა გუნდში

— კიევის „დინამოსა“ და მიუნჰენის „ბაიერნის“ ჩინებულმა გუნდებმა აჩვენეს მაღალი კლასი, დიდი ფეხბურთი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, — განაცხადა უეფა-ს პრეზიდენტმა, დოქტორმა ა. ფრანკიმ (იტალია). — როგორც ცნობილია, სუპერთასს ჯერჯერობით არა აქვს მოქალაქეობრიობის ოფიციალური უფლებები, მაგრამ ის ინტერესი და პატივისცემა, რომელიც გამოიწვია ახლანდელმა გათამაშებამ სპორტულ საზოგადოებაში, უფლებას მაძლევს ვიმედოვნო, რომ სუპერთასი ახლო მომავალში დაკანონდება როგორც უეფა-ს მუდმივი ტურნირი. კიევში იყო არა მარტო კარგი, მაღალი კლასის მატჩი, არამედ ფეხბურთის ნამდვილი, დამაჯერებელი პროპაგანდაც.

— განსაკუთრებულ ქებას, — განაგრძო ფრანკიმ, — ჩემი აზრით, კიეველები იმსახურებენ. თავიანთი კარგი ორგანიზებული, კოლექტიური თამაშით მათ დაამტკიცეს, რომ შემთხვევით არ მოუპოვებიათ თასების თასი. — „დინამო“ დიდ პოტენციურ შესაძლებლობათა გუნდია, რომელსაც ექსტრა-კლასის მოთამაშეები ჰყავს. თანამედროვე ტაქტიკის დონეზე, საუკეთესოდაა აწყობილი ყველა რგოლი.